რუსთაველის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა

იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საბჭოთა ხევი

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-10 წელი

№ 9 (146)

მაისი,

1966 წელი



მთათუშეთში, სოფლის ჭაროსთან.

დიდი საბჭოთა ზეიმი



1966 წელი რუსთაველის წელიწადია. მთელი ჩვენი ხალხი, მთელი ჩვენი ქვეყანა ემზადება უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ გენიალური ავტორის — შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. ამ ღირსსახსოვარ თარიღს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებით აღნიშნავს აგრეთვე მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობა.

ახლოვდება რუსთაველის საიუბილეო თვე — სექტემბერი. ამ ამბავთან დაკავშირებით „კომუნისტის“ რედაქციამ სთხოვა რუსთაველის საიუბილეო რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარეს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ **ვიქტორ დიმიტრის-ძე ჯავახიშვილს** მოუთხროს „კომუნისტის“ მკითხველებს, თუ როგორ ემზადება ჩვენი რესპუბლიკა ამ სახალხო ზეიმისათვის. ქვემოთ ვაქვეყნებთ საუბრის ტექსტს.

საუბარი რუსთაველის საიუბილეო რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარესთან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან გ. დ. ჯავახიშვილთან

საქმეა. როგორც ცნობილია, რუსთაველის პოემის მეცნიერული ტექსტის დასადგენად სერიოზულ მუშაობას ეწევა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული „ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერული ტექსტის დამდგენი კომისია. ეს ქართველ მეცნიერთა რთული და საპატიო ამოცანაა. მეცნიერული ტექსტის დამდგენი კომისია ყოველ ღონეს ხმარობს იმისათვის, რომ ამ უკვდავი ქმნილების საბოლოოდ დადგენილი ტექსტი უახლოეს წლებში ქართველ მკითხველს ხელთ ჰქონდეს. მიმდინარე წლის სექტემბრისათვის კი მკითხველი მიიღებს „ვეფხისტყაოსნის“ საიუბილეო გამოცემას დიდი და მცირე ფორმატით. ეს იქნება პოემის ახალი გამოცემა თანამედროვე მეცნიერულ დონეზე. „ვეფხისტყაოსანი“ გამოცემული იქნება აგრეთვე რუსულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე. გამოსაცემად მზადდება რუსთაველისადმი მიძღვნილი სამეცნიერო შრომებისა და მხატვრული ნაწარმოებების კრებულები, მონოგრაფიები, რუსთაველის აფორიზმები, მხატვრული ალბომები და სხვ. სულ რესპუბლიკის გამომცემლობები საიუბილეო 40-მდე დასახელების წიგნს გამოსცემენ.

მოკავშირე რესპუბლიკების მწერალთა კავშირების თხოვნით საქართველოს მწერალთა კავშირმა დაამზადა და დაუგზავნა „ვეფხისტყაოსნის“ სიტყვასიტყვით თარგმანის (პწკარედის) ახალი რედაქცია, ეს ხელს შეუწყობს მოძმე რესპუბლიკებში „ვეფხისტყაოსნის“ ახალი თარგმანების შესრულებას.

ფართოდ ემზადება იუბილესათვის ჩვენი რესპუბლიკის შემოქმედებითი ინტელიგენცია, რომელიც ქართული კლასიკური კულტურის სახელოვან ტრადიციებს აგრძელებს, ცხადია, ეს სახალხო ზეიმი ერთგვარად შეაჯამებს თანამედროვე ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების მიღწევებს. რუსთაველზე იქმნება ახალი მოთხრობები, პოემები. რესპუბლიკის თეატრები ამ თარიღს უძღვნიან თავიანთ ახალ სპექტაკლებს.

ქართველი კინემატოგრაფისტები მუშაობენ რუსთაველზე მეცნიერულ-პოპულარული ფილმის შესაქმნელად. მზადდება აგრეთვე სატელევიზიო ფილმი. ტელესტუდიის ოპერატორთა ერთი ჯგუფი გადაღებაზე იმყოფება იერუსალიმსა და იორდანიაში.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი იუბილესათვის ამზადებს დ. არაყიშვილის ოპერის „თქმულება შოთა რუსთაველზე“ და შ. მშველიძის ოპერის „ამბავი ტარიელისა“ თითო აქტს განახლებული დადგმით. რუსთაველის შთამაგონებელ თემაზე იქმნება ბევრი მუსიკალური ნაწარმოები.

ასევე ნაყოფიერად ემზადებიან იუბილესათვის ქართველი მხატვრები. დღეს ჩვენს პრესაში გამოცხადებულია კონკურსი რუსთაველის ძეგლზე, რომელიც პოეტის სახელობის რეჟისორიორულ მოედანზე უნდა აღიმართოს. ქართველი შემოქმედებითი ინტელიგენცია დიდი აღფრთოვანებით შეხვდა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების დაარსებას. იუბილესთან დაკავშირებით ეს მაღალი წოდება რიგგარეშე მიენიჭება კიდევ ოთხ შემოქმედს. ეჭვი არ არის, რომ ლაურეატთა შორის ვიხილავთ მხატვრული სიტყვის, მუსიკალური და სახვითი ხელოვნების, დრამატული თეატრისა და კინემატოგრაფიის მოღვაწეებს, რომლებიც თავიანთი ახალი ქმნილებებით დიდ შემოქმედებით სიხარულს მიანიჭებენ ჩვენს ხალხს.


ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა თბილისში „რუსთაველის სახლის“ მოსაწყობად. აქ მოთავსდება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის


რესპუბლიკის მშრომელები დიდი აღფრთოვანებით და კანონიერი სიამაყის გრძნობით შევხდნენ ცნობას იმის შესახებ, რომ მიმდინარე წელს ვიზეიმებთ გენიალური ქართველი პოეტის, მოაზროვნის, ჰუმანისტის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს. ქართველი ხალხი უდიდესი მადლიერებით აღნიშნავს, რომ რუსთაველის იუბილე კიდევ ერთი მკაფიო გამოხატულებაა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის შეუნელებელი ზრუნვისა ჩვენი ქვეყნის ხალხთა კულტურის შემდგომი აღმავლობისა და გაფურჩქვნისათვის. ეს მნიშვნელოვანი საერთო-სახალხო ღონისძიება შესაძლებლობას მოგვცემს მთელ მსოფლიოს ვუჩვენოთ არა მარტო რუსთაველის სიდიადე, არამედ ის გრანდიოზული ძვრები და წარმატებებიც, ქართველმა ხალხმა რომ მოიპოვა საბჭოთა ხელისუფლების წლებში ეროვნული კულტურის ყოველ დარგში.

საიუბილეო კომიტეტმა სერიოზული მუშაობა გასწია. შედგენილი და დამტკიცებულია იუბილესათვის მზადებისა და მისი მოწყობის კონკრეტული გეგმა. ამ მიზნით შექმნილია და აქტიურ მუშაობას ეწევიან მხატვრულ სანახაობათა მომზადების, საგამომცემლო და საგამოფენო კომისიები და აგრეთვე ქვეკომისიები დარგების მიხედვით. გაცხოველებით ემზადებიან იუბილესათვის ჩვენი რესპუბლიკის უველა ქალაქსა და რაიონში. ამჟამად შექმნილია უველა პირობა იმისათვის, რომ ეს საყოველთაო-სახალხო დღესასწაული მაღალ დონეზე მოეწყოს.

ცხადია, იუბილესათვის მზადების უმნიშვნელოვანესი უბანი საგამომცემლო







„ვეფხისტყაოსანი“ ილუსტრაციებში. ავტორი საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი ს. ქობულაძე.



რუსთაველის დაბადების 800 წლისთავი

სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი, ლიტერატურული მუზეუმი. აქვე გაიხსნება რუსთაველისადმი მიძღვნილი მუდმივი გამოფენა.

რუსთაველის მომავალ იუბილეს საერთო-სახალხო ხასიათი ექნება. ამ ზეიმისათვის თბილისში მოწვეული არიან სტუმრები ყველა მოძმე რესპუბლიკიდან და სოციალისტური ქვეყნებიდან. დღესასწაულში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე სხვა ხაზღვარგარეთელი პროგრესული მწერლები და კულტურის მოღვაწენი. როგორც ცნობილი გახდა, იუბილეს დღეებში თბილისში მოწვეულია მწერალთა და კულტურის მოღვაწეთა საერთაშორისო ფორუმი თემაზე „პოეტი და მკითხველი“.

საიუბილეო კომიტეტს, ჩვენს საზოგადოებრიობას სერიოზული მუშაობის გაწევა მოუხდება, რათა სასახელოდ მივიღოთ სტუმრები, კარგად გავაცნოთ ჩვენი ისტორია, კულტურა და სამეურნეო მიღწევები. სტუმრებისათვის სპეციალური მარშრუტებით მოეწყობა ექსკურსიები უმნიშვნელოვანეს ისტორიულ ძეგლების დასათვალიერებლად. სტუმრები გაეცნობიან ჩვენს მოწინავე კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, მშენებლობებს, კულტურის დაწესებულებებს. შეხვდებიან წარმოების ნოვატორებს, რომელთა მარჯვე ხელით იჭედება ახალი გამარჯვებები კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

თავისთავად ცხადია, „კომუნისტის“ მკითხველებს აინტერესებთ რა ღონისძიებები განხორციელდება იუბილეს დღეებში. რუსთაველის იუბილე დაიწყება 25 სექტემბერს და გაგრძელდება 5 ოქტომბრამდე. დედაქალაქის თეატრებში, კულტურის სახლებში, კლუბებში, კულტურისა და დასვენების პარკებში და სხვა სანახაობითს დაწესებულებებში გაიმართება დიდი სახალხო ზეიმი, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკის მშრომელთა და მოცეკვავეთა ანსამბლები. მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები. ხალხის წინაშე გამოვლენ მსახიობები, მწერლები, სახალხო მოქმედები და ინდივიდუალური შემსრულებლები.

25 სექტემბერს თბილისში გაიხსნება სსრ კავშირის და საქართველოს საბჭოთა მწერალთა კავშირების გამგეობების გაერთიანებული სხდომა.

ოქტომბრის პირველ რიცხვებში გაიმართება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესია, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის შენობაში გაიმართება დიდი საიუბილეო კონცერტი. სპორტის სასახლეში მოეწყობა მუსიკალურ-თეატრალური სანახაობა „ოდა რუსთაველზე“.

იუბილეს მიეძღვნება აგრეთვე სახალხო სპორტული დღესასწაული, რომელიც „ქარიშხალას“ სტადიონზე გაიმართება. ზეიმის დასაწყისისათვის აქ მოალწევენ ამჰანთრების ფინალისტები ვარძიაში იყალთოსა და გელათში ანთებული ჩირაღდნებით. სპორტულ ზეიმზე წარმოდგენილი იქნება რუსთაველის ეპოქის სპორტული ასპარეზობანი: შვილდოსნობა, ცხენბურთი, ლელობურთი, ჩოგბურთი და სხვ. ეს საინტერესო სანახაობა დასრულდება ფეიერვერკით.

იუბილეს დღეებში საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის გამოფენის ტერიტორიაზე დიდებულში გაიხსნება გამოფენა „საქართველოს კულტურა რუსთაველის ეპოქიდან დღემდე“. რუსთაველისადმი მიძღვნილი გამოფენები მოეწყობა აგრეთვე სამხატვრო გალერიაში, საქართველოს სსრ სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმსა და ხელოვნების მუზეუმში.

რუსთაველის იუბილესადმი მიძღვნილი სახალხო ზეიმები გაიმართება რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონში. ფართოდ გააშუქებენ იუბილეს პრესა, რადიო და ტელევიზია.

აი მოკლედ ის, რაც გათვალისწინებულია საიუბილეოდ ჩვენს რესპუბლიკაში. რუსთაველის იუბილე ფართოდ აღინიშნება მოსკოვსა და მოძმე რესპუბლიკებში.

რუსთაველის საიუბილეო საკავშირო კომიტეტის გადაწყვეტილებით მოსკოვში საიუბილეო საზეიმო სხდომა სსრ კავშირის დიდი აკადემიური თეატრის შენობაში გაიმართება. მოწვეული იქნებიან მშვიდობის დაცვის მსოფლიო კომიტეტის წარმომადგენლები და სხვა სტუმრები საზღვარგარეთიდან.

საიუბილეო დღეებში მოსკოვში რუსთაველის სახელობის ქუჩაზე დაიდგმება რუსთაველის ძეგლი-ბიუსტი. ცენტრალურ საგამოფენო დარბაზში მოეწყობა გამოფენა „ქართული კულტურა XII საუკუნიდან დღემდე“. იუბილესათვის აქტიურად ემზადებიან დედაქალაქის საგამომცემლო დაწესებულებები. გამომცემლობა „ხუდოჟესტვენნაია ლიტერატურა“ ამზადებს პოემის სასაჩუქრო გამოცემას, ხოლო „სოვეტსკი პისატელი“ გამოსცემს მორიგ ტომს ცნობილი სერიისა „ბიბლიოტეკა პოეტა“. „სოვეტსკი ხუდოჟნიკი“ გამოსაცემად მასობრივი ტირაჟით ამზადებს რუსთაველის პორტრეტსა და მხატვარ ი. თოიძის მიერ შესრულებულ „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციების ფერადი ბარათების კომპლექტებს.

გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტში გაიმართება რუსთაველისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია. ლენინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა ამზადებს სპეციალურ თემატურ გამოფენას.

მიმდინარე წლის სექტემბერსა და ოქტომბერში რუსთაველისადმი მიძღვნილი საიუბილეო საზეიმო სხდომები გაიმართება ყველა მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკაში, მხარესა და ოლქში. რუსთაველის იუბილეს ასეთი ფართო აღნიშვნა ნათლად მეტყველებს ამ ეროვნული ზეიმის უდიდეს მნიშვნელობაზე. ეჭვი არ არის, რომ იგი ორგანიზებულად, მაღალ დონეზე ჩაივლის და უთუოდ გადაიქცევა საბჭოთა კავშირის ხალხების ურღვევი მეგობრობისა და ძმობის ახალ დემონსტრაციად. ხალხებისა, რომლებიც ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით დაუღალავად იბრძვიან პარტიის XXIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად და უდიდესი წვლილი შეაქვთ თავისუფლების, თანასწორობის, ძმობის, მშვიდობისა და ბედნიერების ნათელი შენობის — კომუნისტური საზოგადოების აშენებაში.

გაზეთი „კომუნისტი“,
19 მაისი, 1966 წელი.

კანადაში, გაზრობაზე

საერთაშორისო ბაზრობაზე, რომელიც მიმდინარე წელს კანადაში გაიმართება, წარმოდგენილი იქნება თბილისის კერამიკული კომბინატის მარკის პროდუქცია. ეს პატივი საწარმოს კოლექტივმა მოიპოვა შეუპოვარ ბრძოლაში წარმოების მაღალი კულტურისათვის, საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობათა მშენებლები უკვე დიდი ხანია კარგ შეფასებას აძლევენ კომბინატის პროდუქციას. ამ ბოლო დროს კი კიდევ უფრო გაუმჯობესდა მოსაპირკეთებელი ფილების ხარისხი.

ახალ ხუთწლედში თბილისელ კერამიკოსთა წინაშე დასახულია დიდი ამოცანები — უნდა მიაღწიონ იმას, რომ მათი ნაწარმი არ ჩამოუვარდებოდეს საუკეთესო მსოფლიო სტანდარტებს.

კერამიკოსებს შეუძლიათ ეძებონ და გამონახონ ხარისხის გაუმჯობესების რეზერვების გამოვლინების გზები. მარტო წელს მათ დანერგეს ნაწარმის სიმედოობის გადიდებასა და მისი გარეგნობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული 60-მდე ღონისძიება. დიდი ეკონომიური სარგებლობა მოიტანა მოსაპირკეთებელი ფილების მექანიზებული შრომის ხაზმა, რომელიც საწარმოს ნოვატორებმა შექმნეს. ხაზზა ერთიანად დაიჩქარა მოსაპირკეთებელი ფილების შრობის პროცესი, გაუმჯობესა მათი ხარისხი. ამას მოწმობს დადებითი შეფასება, რაც მომხმარებლებმა მისცეს პროდუქციის პირველ პარტიას, რომელმაც გაიარა მექანიზებული შრომა.

კომბინატი განთქმულია როგორც მომჭირნეთა საწარმო. მისი კოლექტივი არაერთგზის ყოფილა მასალების, სათბობისა და ელექტროენერგიის ეკონომიისათვის შეჯიბრების წამომწყები. დაზოგილი მასალებისაგან შვიდწლედის მანძილზე აქ დამზადებულია ათასობით მოსაპირკეთებელი ფილა დავალების დამატებით. ახალი ხუთწლედის პირველ წელს კერამიკოსებმა გადაწყვიტეს დაზოგილი მასალებისაგან დამზადონ ათი პროცენტით მეტი ნაწარმი, ვიდრე 1965 წელს. მათი სიტყვა და საქმე ერთია. პირველი კვარტალის გეგმა ვადამდე ხუთი დღით ადრე შესრულდა. დავალების გადამეტებით გამოშვებულია ათეულათასობით მანეთის პროდუქცია. კომბინატი მუშაობს გადიდებული საწარმოო პროგრამით, მისი მაჩვენებლები შარშანდელზე უკეთესად.

ბავშვები დაისვენებენ

საქართველოს პროფკავშირები საზაფხულო სეზონისათვის საუკეთესო კურორტებზე ხსნიან დაახლოებით ას პიონერულ ბანაკს, რომლებშიც დაისვენებს და ჯანმრთელობას გაიკაჟებს **50.470** ბავშვი.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ პროფკავშირებს საზაფხულო პიონერული ბანაკების მოსაწყობად გადასცა საგურამოს, ახალდაბის, თიანეთის, სალხინოს, ბათუმის № 2, სალიბაურის, ბაბუშერის, განთიადის № 1, დრანდის, ჯავის, თელავის, კალდახვარის, გურჯაანის სკოლა-ინტერნატების შენობები მოწყობილობითა და ინვენტარით.

უფროსი კლასების 2 ათასი მოსწავლე გაემგზავრება გამაჯანსაღებელ ბანაკებში. ამ ბანაკებს ბათუმსა და საგურამოში ხსნის საქართველოს განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი, თელავსა და გურჯაანში — კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი. მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი ბაკურიანისა და ჯავის კურორტებში წელს პირველად აწყობს სანატორიუმის ტიპის პიონერულ ბანაკებს, სადაც ბავშვები იმკურნალებენ და ისეთსავე კვებას მიიღებენ, როგორც მოზრდილთა სანატორიუმების ნორმით არის გათვალისწინებული.

თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, ცხინვალში, რუსთავში, გორში, ფოთში, სამტრედიაში ჭყოფა საქალაქო პიონერული ბანაკები იმ ბავშვებისათვის, რომლებიც ზაფხულში ქალაქად რჩებიან.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა შეიმუშავა და დაამტკიცა ღონისძიებანი საზაფხულოდ პიონერული ბანაკების მომზადებისათვის. მიმდინარეობს შენობათა რემონტი. იძენენ ავეჯს, კინოაპარატურას, სპორტულ ინვენტარს, ლიტერატურას, სახელმძღვანელოებს. განხორციელდა ღონისძიებანი ბანაკების პედაგოგიური და სამედიცინო პერსონალით, პიონერული და ფიზკულტურული მუშაკებით დაკომპლექტებისათვის. უმჯობდება პიონერული ბანაკების პროდუქტებით მომარაგება, გამოყოფილია ავტოტრანსპორტი.

ბავშვთა პირველ ნაკადს რესპუბლიკური ბანაკები მიიღებენ 5 ივნისს.

ჭოგულეთის მშენებლობანი

შავი ზღვის კურორტ ქობულეთში დაიწყო 18-სართულიანი სასტუმრო „ინტურისტის“ მშენებლობა. სასტუმრო 600-ადგილიანი იქნება. უცხოელი ტურისტების განსაკუთრებულებში იქნება კომფორტული ნომრები, სამბანკეტო დარბაზი, კაფე, ბერარიები, ფოსტა-ტელეგრაფი.

პროექტის ავტორები არიან თბილისის ექსპერიმენტული დაპროექტების ზონალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეორე სახელოსნოს არქიტექტორები. წელს ამ სახელოსნოს პროექტით ბათუმში დაიწყება 16-სართულიანი სასტუმროს აგება. იგი აშენდება „ინტურისტის“ ძველი შენობის გვერდით და გადაასვლელით შეუერთდება მას. ახალ სასტუმროში 400 ადგილი იქნება.

ინტურისტში დაიწყეს ორი 25-სართულიანი სასტუმროს დაპროექტება. ეს სასტუმროები აიგება სოხუმსა და გაგრაში.


სახელოსნოში შეიქმნა 500, 400 და 200-ადგილიანი სასტუმროების ტიპობრივი პროექტები. ისინი გათვალისწინებულია ჩვენი ქვეყნის სამხრეთ რაიონებისათვის.

ყველა ტიპობრივი სასტუმრო აიგება ასაწყობი რკინაბეტონის კარკასულ-პანელური კონსტრუქციით. ფართოდ გამოიყენებენ თანამედროვე საშენ მასალებს.



დღეს სჯობს ხვალ

ქართული მეცნიერების ნაბიჯები



საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნიკოლოზ მუსხელიშვილი.

რომელიც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან. ოცდახუთი წლის წინათ შეიქმნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია — ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი სამეცნიერო ცენტრი. ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტმა მერაბ ლორთქიფანიძემ მიმართა აკადემიის წამყვანი ინსტიტუტების ხელმძღვანელებს და სთხოვა მათ ეამბნათ ყველაზე საინტერესო კვლევასა და პრობლემებზე, რომელთა შესწავლას ამჟამად ინსტიტუტების თანამშრომლები ეწევიან, ხუთწლედში ცოდნის იმ დარგის განვითარების პერსპექტივებზე, რომელშიც ისინი მუშაობენ, მათს პირად შემოქმედებითს გეგმებზე.

აკადემიკოსი ელეფთერ ანდრონიკაშვილი, ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი: დაბალ ტემპერატურათა ფიზიკამ ახლა თავისი გავლენა გაავრცელა ყველა მიმართულებაზე. დაბალი ტემპერატურების დროს შეისწავლება მყარ სხეულთა მექანიკური თვისებები. წარმოიშვა ახალი მიმართულებანი — დაბალტემპერატურული მაგნეტიზმი, დაბალტემპერატურული ბირთვული ფიზიკა, დაბალტემპერატურული ქიმიაც კი. და უფრო მეტიც —წარმოებს დაბალი ტემპერატურების ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა შესწავლა.

თვითონ მე ვეწევი კვლევას კვანტურ ჰიდროდინამიკაში. ფიზიკური მეცნიერების ეს დარგი შემოზღუდულია ვიწრო ტემპერატურული ინტერვალით, რომელიც ახლოა აბსოლუტურ ნულთან. იგი წარმოიშვა ოცდახუთიოდე წლის წინათ — ჩვენი აკადემიის თანატოლია.

ინსტიტუტის მეცნიერული ძიების მეორე პოლუსია მაღალ ტემპერატურათა და მაღალ ენერგიათა ფიზიკა. ეს არის უწინარეს ყოვლისა პლაზმის ფიზიკა, ნივთიერების იონიზებული მდგომარეობის შესწავლა.

მილიარდობით ელექტრონვოლტ მაღალ ენერგიებს, რომლებსაც მსოფლიოს ყველაზე მძლავრ აჩქარებლებში აღწევენ, ინსტიტუტის თანამშრომლები სწავლობენ დუბნის სინქროფაზოტრონში, სადაც მათ საკმაოდ ბევრი საინტერესო გამოკვლევა ჩაატარეს, და ბირთვული კვლევის ევროპის ცენტრში, ჟენევაში.

ყველაზე მაღალ ენერგიათა პროცესების შესწავლას ვეწევით კოსმოსურ სხივებში. ინსტიტუტში იკვლევენ „ელემენტარულ“ ნაწილაკთა ბუნებას, რომელთა ენერგია ასობით და ათასობით მილიარდი ელექტრონვოლტია.

ყველაზე წარმტაცი პერსპექტივები, მე ვგონებ, ისახება ცოდნის ორ დარგში: მაღალ ენერგიათა ფიზიკაში, რომელიც, უეჭველია, გამოიწვევს — და ძალიან მალეც — ძირეულ ცვლილებებს მატერიის, სივრცისა და დროის თვისებათა გაგებაში. **მეორე დარგია ბიომიკრომოლეკულათა ფიზიკა.** როცა შევიცნობთ იმ კანონებს, რომლებიც მართავენ ცოცხალი არსების მემკვიდრული აპარატის შემადგენელ ცილათა, ფერმენტთა და ნუკლეინის მჟავათა შექმნას, როცა შევეძლებით გძართოთ ბიოქიმიურ რეაქციათა ძიმდინარეობა, გამოცნობილი ბუნების ყველაზე საოცარი საიდუმლოება — სიცოცხლე.

აკადემიკოსი ივანე ბერიტაშვილი — ფიზიოლოგთა ქართული სკოლის მეთაური: ქართველი ფიზიოლოგები დღეს ადამიანის მოკლევადიანი და გრძელვადიანი მეხსიერების მექანიზმს, მეხსიერების სუბსტრატის ფიზიოლოგიურ და სტრუქტურულ თავისებურებებს იკვლევენ. მოწყობილია მის საფუძველში მდებარე მოლეკულურ შიდაუჯრედულ პროცესებში შეღწევის პირველი ცდები. ჩვენ განვსაზღვრეთ დიდი ტვინის ახალი და ძველი ქერქის განყოფილებებისა და ქერქქვეშა წარმონაქმნების როლი მეხსიერების მოვლენებში. შესწავლილია ქიმიური ძვრები ტვინში, რომლებიც გავლენას ახდენენ მეხსიერებაზე. გამორკვეულია, როგორ უჭკობესდება და უარესდება მეხსიერება აქტიურ ნივთიერებათა შეყვანისას.

მეორე დიდი პრობლემაა ტვინის ნეირონთა სხვადასხვა სფეროებისა და შრეების ელექტრულ მოვლენათა გამოკვლევა. სფეროების, შრეებისა და ნეირონების დამახასიათებელ ფიზიოლოგიურ თავისებურებათა და ერთმანეთს შორის ურთიერთმოქმედების შესწავლა დაგვეხმარება იმაში, რომ გამოვარკვიოთ მათი როლი ცხოველთა ქცევაში.

მე ვემუშაობ უწინარეს ყოვლისა იმ მუშაობის შედეგების თეორიულ გააზრებაზე, რომელსაც ინსტიტუტი ეწევა მეხსიერების მოვლენათა შესასწავლად. მაგალითად, ჩვენთან იბადება ტვინის მოქმედების, ფსიქონერვული მეხსიერების გამოკვლევის ახალი თემები. დასასრულ, ჩემი მთავარი საზრუნავია მეხსიერების შესწავლის დარგში წარმოებული ცდების კონტროლი.

ყველა განყოფილებასა და ლაბორატორიაში — ქცევისა, საერთო ნერვული ფიზიოლოგიისა, მორფოლოგიის ელექტრონული მიკროსკოპიით, ბიოქიმიისა, ბიოფიზიკისა და რადიობიოლოგიისა — ჩვენი მეცნიერები მუშაობენ, რათა უკვე უახლოეს ხუთ წელიწადში დასახონ პრაქტიკული ღონისძიებანი მეხსიერების ბუნებრივი და ხელოვნური გაუმჯობესებისათვის, მასზე სამკურნალო ზემოქმედებისათვის.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი კირიაკ ზავრიევი, სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის დირექტორი: სეისმომედეგობის ახალი თეორია, ჩვენ მიერ წამოყენებული ღონისძიებანი მიწისძვრების დროს ნაგებობათა უსაშიშროებისა, თხელკედლიანი გარსების ტიპის სივრცობრივი კონსტრუქციების თეორიის, რკინაბეტონის, კერძოდ, წინასწარ დაძაბული რკინაბეტონის თეორიის შემუშავება — აი ჩვენი ინსტიტუტის კვლევის წრე.

მე ვემუშაობ სეისმომედეგობისა და წინასწარ დაძაბული რკინაბეტონის პრობლემებზე.

ჩვენ ახლა პრაქტიკაში ვნერგავთ გიგანტურმალებიან გაბედულ ნაგებობათა მშენებლობის ყველაზე წარმატებითს გადაწყვეტას. ასეთი ნაგებობანი წარმატებით გაუწევენ წინააღმდეგობას სხვადასხვა ზემოქმედებას, მათ შორის სეისმურ ზემოქმედებასაც. მათი ავებისას გამოყენებული იქნება ეფექტური მასალები და მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ შრომის მაღალ ნაყოფიერებას. ინსტიტუტის მეცნიერები მოგვცემენ გაანგარიშების უახლეს მეთოდებს, რომლებიც შეესაბამება თეორიის თანამედროვე დონეს, გამოთვლითი მექანიკის ფართოდ გამოყენებით.

გამოთვლითი ტექნიკა იძლევა მძლავრ იარაღს, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს მივუახლოოთ გაანგარიშებული სქემა რეალურ ნაგებობას. და მაშინ გამოყენებული იქნება სიმტკიცის ის რეზერვები, რომლებსაც საშენი მასალები შეიცავენ და რომლებსაც თანამედროვე გაანგარიშებებში ჯერჯერობით მხედველობაში არ იღებენ.

ვლადიმერ ჰავჰანიძე, კიბერნეტიკის ინსტიტუტის დირექტორი: ახალ კიბერნეტიკულ მოწყობილობათა შექმნის პრობლემებზე წარმატებით რომ ვმუშაობდეთ, საჭიროა დეტალურად შევისწავლოთ ბუნებრივი სისტემები, მოვაწყოთ აღქმის, გაძოცნობისა და, დასასრულ, აზროვნების პროცესების მოდელირება. ამჟამად ჩვენ გვაინტერესებს უმარტივეს ფორმალურ ნეირონთა, ნერვული მოქმედების უმარტივეს ფეთომენათა მოდელები.

აზროვნების პროცესების მოდელირება შესაძლებელია უნივერსალური

(დასასრული მე-6 გვ.).

მომავალ წლებში ფართოდ განვითარდება ტურიზმი. საქართველოს დიდ ქალაქებში, საუკეთესო კურორტებზე, თვალწარმტაც ადგილებში, ტყის მასივებისა და წყალსატევების მახლობლად გაიხსნება კეთილმოწყობილი ტურისტული ბაზები. მუშავდება ახალი მარშრუტები, რომლებიც მოგზაურებს საშუალებას მისცემენ უფრო უკეთ გაეცნონ ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრებას.

1966 წელს მწყობრში ჩადგება კომფორტული ტურისტული ბაზები მესტიაში, ბაკურიანში, თელავში, ახალი მრავალსართულიანი სასტუმრო კორპუსები მწვანე კონცხსა და ციხისძირში. გაგრძელდება ვარძიის, უაზბგის ტურისტული ბაზების მშენებლობა, დაიწყება ბათუმის, ქობულეთის, ხოხუმის დიდი ხუთას ადგილიანი ტურისტული სასტუმრო ბაზების მშენებლობა. ტურისტული ობიექტების მშენებლობასთვის 1966 წელს გამოყოფილი სახსრები შეადგენს 4.147 ათას მანეთს— ერთისამად მეტს, ვიდრე 1965 წელს.

საქართველოს საპროექტო ინსტიტუტებში არქიტექტორთა ჯგუფები ქმნიან ტურისტულ ახლაშენებათა ორიგინალურ პროექტებს. მაგალითად, უაზბეგის ტურისტული ბაზა, რომელიც 400 კაცისათვის არის გათვალისწინებული, აშენდება მთის ფერდობზე, საიდანაც კარგად მოჩანს მყინვარწვერი და დარიალის ხეობის დასაწყისი. ვარძიის ტურისტული ბაზა შენდება მღვიმე ქალაქის მოპირდაპირე მთის ფერდობის ტერასებზე. ფასანაურის ახალი ტურისტული ბაზიდან გადაიშლება არაგვის თვალწარმტაცი ხეობა. ტურისტული ბაზები აღჭურვილი იქნება საზაფხულო სასპორტო ნაგებობათა კომპლექსით.

საქართველოში აშენდება საქართველოს ტურიზმის რესპუბლიკური



ვერა ფაღავაც აქტიურ მონაწილეობას იღებს მეგობრის საქმიანობაში, დიდ შეფასებას აძლევს მის შემოქმედებას და ცდილობს ავტორის მიერ კედელთან დაუდევრად მიდგმულ სურათებს უფრო მომგებიანი ადგილი და განათება მიუჩინოს.

ნამუშევარი „ფორმების სიმფონია“ რაღაცით იპყრობს მის ყურადღებას და გვენიშნება, რომ სურათს ხელთ იღებს და თავდაყირა დგამს.

ჩვენს ერთ-ერთ მასპინძელს, ვიქტორ ნოზაძეს, ეღიმება და ვერას შეწუხებას ამაოდ მიიჩნევს. იგი არა ჰფარავს გულგრილობას „მოდერნის“ მიმართ და აბსტრაქტული „სურათების“ გაგებაზე გადაჭრით უარს ამბობს. ამიტომაც, როდესაც, ვანო ერთგვარი პროტესტის სახით, ისევ პირვანდელ მდგომარეობას უბრუნებს ნამუშევარს და თანაც დასძენს „სურათში ჭრომატიული სინქრონიზაცია არის გადმოცემულიო“, ნოზაძე ჩუმად ოხრავს, ალმაცერად გვიყურებს გამომცდელის თვალით და სიცილსაც აღარ იკავებს.

ჩვენ წინ კი ერთმანეთს სცვლიან საღებავებით დაფერილი, დასერილი თუ დაწინწკლული დეკორატიული მოტივები.

ვუყურებ და ძალაუნებურად მაგონდება პოლონელ მხატვართა ერთი ჯგუფის გამოფენა კრაკოვში.

ვრცელ საგამოფენო დარბაზებში ამაოდ ვეძებდი „სურათს“. მისი ადგილი ეჭირათ აბსტრაქტული სახის ფერწერულ და გრაფიკულ ნამუშევრებს, ხშირ შემთხვევაში „კომპოზიციად“ წოდებულსა და დანომრილს.

*) გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სამშობლოს ხმა“ № 6, 7, 8.

საქართველოს ტურიზმის ოთხი ახალი

საბჭოს 105 ტურისტული ობიექტი. 1966-1970 წლებში საექსპლოატაციოდ გადაეცემა თბილისის ვაკის 500-ადგილიანი, ბორჯომ-პლატოს 500-ადგილიანი, ფოთის „მალთაყვისა“ და ქუთაისის 400-ადგილიანი, მიუსერის 2 ათასადგილიანი სასტუმრო — ტურისტული ბაზები. ახალი ტურისტული ბაზები აშენდება საგურამოში, ზუგდიდში, ლაგოდეხში, სიღნაღში, ნაქერალას უღელტეხილის რაიონში. შავი ზღვის სანაპიროზე აშენდება გუდაუთის, ლესელიძის, ციხისძირის ტურისტული ბაზები.

სამთო ტურიზმის მოყვარულებს მოემსახურება ტურისტული ბაზების თავშესაფარები. 1966 წელს ტურისტებს მიიღებს ქლუხორის უღელტეხილის სამხრეთ ფერდობებზე აშენებული 100-ადგილიანი თავშესაფარი, ზემო სვანეთის ნაკრისა და თიანეთის რაიონის სიონის წყალსაცავის 50-ადგილიანი თავშესაფარები. შემდეგ წლებში აშენდება შარივცეკის, შიხრის, ზედაზენის, გუჯარეთის, კახისის, ვაცისწვეთის, დანისპირულის, ლებარდეს თავშესაფარები. ტურისტებს, რომლებიც ხევსურეთის ახალი მარშრუტებით იმოგზაურებენ, მოემსახურებიან ბარისახოს, საძელოს, როშკის თავშესაფარები.

ფართოვდება ლაგოდეხის, ბაკურიანის, სოხუმ-„სინოპის“, ახალი ათონის ტურისტული ბაზები. საძილე კორპუსების ადგილების რაოდენობა გაგრის ტურისტულ ბაზაში გადიდდება 400 ადგილით. კულტპავილიონები, კლუბ-სასადილოები აშენდება მწვანე კონცხის, ბაკურიანის, ახალი ათონის, სოხუმისა და სოხუმ-„სინოპის“ ტურისტულ ბაზებში.

ტურიზმის განვითარებას მოემსახურება საჰაერო-საბაგირო ტრანსპორტი. 1.7 კილომეტრი სიგრძის პირველი საბაგირო სამგზავრო ტრასა სოფელ ყაზბეგს დაუკავშირებს სამების მთას, რომელიც ზღვის დონიდან 2150 მეტრზე მდებარეობს. საბაგირო გზების მშენებლობა გათვალისწინებულია ბაკურიანში, სიღნაღში, გაგრაში.


ფართოდ გაჩაღდება ტურისტული ბაზების საზაფხულო ქსელის მშენებლობა. თვალწარმტაც ადგილებში, რკინიგზებისა და გზატკეცილების მახლობლად, საგარეუბნო და მაღალი მთის კურორტებზე ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისაგან აშენდება მრავალი პატარ-პატარა სახლი ტურისტული ბაზებისათვის, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში იმუშავებენ და ერთდროულად მოემსახურებიან 9 ათას კაცს. ტურისტული ბაზები შენდება: 800-ადგილიანი ამბროლაურის რაიონის ხარისთვალაში, 500-ადგილიანი — ლესელიძეში, კინდღსა და სადგურ პრიმორსკოეში, 400 ადგილიანი — ბაზალეთის ტბაზე, 300-ადგილიანი — ბიჭვინთის კონცხზე და მანგლისში, 200-ადგილიანი ბაზები — სურამში, ხაჩერეში, თეთრ წყაროში, კოკორში, ჯავაში.

ტურისტული მარშრუტები გადის ახალ ადგილებში. სეზონური მოქმედების ტურისტული ბაზები შენდება ცაგერში, ლენტეხის რაიონის სოფელ ყოლურდაშში, მახარაძის რაიონის დაბა ურეკში, ქობულეთის რაიონის დაბა ჩაქვში, ზეკარის უღელტეხილის რაიონში, ლეგენდარულ ხევსურულ სოფელ შატილში.

სამთო ტურიზმის დიდმნიშვნელოვანი პუნქტი გახდება კურორტი გაგრა. გაგრის ქედის რაიონში ზღვის დონიდან 1600 მეტრზე ამ ხუთწლედში დაიწყება და 1971 წელს დამთავრდება დიდი კურორტის მზიურის მშენებლობა. აქ სასტუმროების, პანსიონატების გარდა აშენდება 400-ადგილიანი ტურისტული ბაზა და სამგზავრო საჰაერო-საბაგირო გზა გაგრა-მზიური.

კიდევ უფრო განვითარდება მიწისქვეშა ტურიზმი. გაგრაში, ახალ ათონში მოეწყობა მიწისქვეშა მღვიმეები, რათა ისინი დაათვალიერონ ტურისტებმა. სათაფლიის სტალაქტიტისა და სტალაგმიტის მღვიმის მახლობლად შენდება 200-ადგილიანი სეზონური ტურისტული ბაზა.

გეგმა ითვალისწინებს მასობრივი ტურიზმის — ტურისტული ლაშქრობების, გასეირნებების, შეჯიბრების ფართოდ განვითარებას. რესპუბლიკის მილიონობით მშრომელი — მშობლიური მხარის შესწავლის მოყვარული მოაწყობს მასობრივ ექსკურსიებს საქართველოში. კიდევ უფრო განვითარდება შორეული მოგზაურობანი მატარებლებით, თვითმფრინავებით, ავტომატარებლებით, საზღვაო და სამდინარო ტრანსპორტით. გაფართოვდება ტურისტულ სექციათა ქსელი სწარმოებებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში. აგრეთვე გაფართოვდება ტურისტული კლუბების ქსელი ქალაქებსა და რაიონებში, ტურისტულ განმაჯანსაღებელი ბანაკების, მონადირეთა და მებადურთა სახლების ქსელი. გადიდდება ტურისტული ლიტერატურის, მეგზურების, პლაკატების, ბუკლეტების, სამხარეთმცოდნეო ნარკვევების გამოცემა.



სურათზე: გორჯომი, საბაგირო გზა: პარკი — კლატო, ქვედა სადგური.

აქა-იქ გაბნეული ლამაზი ფერებისა და დეკორატიულ მოტივთა მიუხედავად, გულს მძიმედ აწვა კედლებზე გამლილი სამყაროს „მაჯლაჯუნები“, რომელთაც არ გააჩნიათ ნამდვილი სახე და ამიტომაც მხოლოდ შიშნარევ ფანტაზიაში იკიდებენ ფეხს.

გულდასმით შევეცქეროდი თითოეულ ნამუშევარს. მხატვართა მიერ მათში ჩაქსოვილი „ფილოსოფიის“ განჭვრეტასაც ვცდილობდი და ნერვებდაძაბულს, შესაძლოა, უფრო გარკვევით ჩამესმოდა ცარიელ დარბაზებიდან მიმავალი მაყურებლის აჩქარებული ნაბიჯები...

ფიქრებს უკუვაგდებ. ვანოს ნამუშევრებს შევეცქერი უკანასკნელად და ვცდილობ გავიგო რას ემსახურება მხატვარი. ამაოდ. ეს ჩემს ძალას აღემატება.

ხელოვნება გასართობი არ ყოფილა არასოდეს. მას ყოველთვის პასუხსაგები დანიშნულება ეკისრა და ხალხის კულტურის, სულისკვეთებისა და ცხოვრების გამომხატველი იყო, მისი წინსვლისა და განვითარების მთავარი ხელისშემწყობი.

ხელოვნებას ყოველთვის ჰქონდა მეტყველი ენა. ეს ენა კოსმოპოლიტური არასოდეს არ ყოფილა. იგი არ სცილდებოდა ეროვნულ ფარგლებს და თუმც მისი ზღვარი საუკუნეებით და ეპოქებითაც განიზომებოდა, ყოველთვის გასაგები რჩებოდა ყველასთვის, საგანგებო ანბანს არ მოითხოვდა.

არც ფრანგული ხელოვნება შეადგენდა გამონაკლისს. იგი უფრო და უფრო ინტენსურად ებმებოდა მსოფლიო ხელოვნების ინტერნაციონალურ ფერხულში და თავისი ხალხის მომავალს ჰქმნიდა, მას ეწირებოდა.

დღეს კი საფრანგეთში ხელოვნება ძირითადად „გასართობი“ გამხდარა. მისი აზრი მხოლოდ ხალხის დაბნევაა და მის დანიშნულებას „არარაობაც“ ჰქვიან. მის ენას კი კოსმოპოლიტურს ეძახიან. კოსმოპოლიტურს, რადგან თვით მხატვარი გამხდარა კოსმოპოლიტი, სამშობლოს ინტერესების უგულებელები და უცხო ქვეყანაში კი „მოდურ“ ენაზე მოლაპარაკე.

განა ძირითადად ასეთებს არ ეკუთვნიან აბსტრაქციონიზმის მთავარი წარმომადგენლები კანდინსკი, მალევიჩი, მონდრიანი, კლე, პოლოკი, ვოლსი, ჰარტუნგი, რიოპელი და საფრანგეთში სხვადასხვა მხრიდან ჩასული, ნიჭიერი და საკმაოდ გზადაბნეული დანარჩენი მხატვრები?

მ აბრამ დავუბრუნდეთ ისევ ვერა ფალავას სახელოსნოს, სადაც შესამე ქართველი მხატვარიც გავიცანით. მანდილოსანი, რომლის აღნაგობა თავისთავადაც ლაპარაკობს მის წარმოშობაზე.

თამარ (სუნანა) ღამბაშიძე-თოხაძისა წარმოსადეგი, ნათელი სახისა და დინჯი ბუნების ქალია. როგორც ამბობს 1904 წელს არის დაბადებული ქ. სამტრედიაში.

ჩვენგან განზე ჯდება, გვათვალიერებს, მოთმინებით ისმენს ჩვენს დიალოგებს და ლაპარაკში ჩარევას არ ჩქარობს. თვალები კი ვერ მალავენ სიხარულს და საპასუხო სიტყვის იმსახურებენ.

სუნანა, (ასე ეძახიან მეგობრები) ჩვენთან შეხვედრის მიზნით არის მოსული და მისი ნამუშევრებიდან შორს მყოფთ, მისი შემოქმედების გაცნობის შესაძლებლობა არა გვაქვს. სამახსოვროდ მოტანილი უპრეტენზიო ფაქიზი აქვარელით კი, რომელზედაც შვეიცარიის მთა-გორიანი პეიზაჟია გამოსახული, ძნელია მსჯელობა მხატვრის მიერ განვლილ შემოქმედებითს გზაზე, უფრო სწორად, შეუძლებელიც.

სუნანას მშობლები — მამა ექიმი და დედა ოდესაც თბილისის უნივერსიტეტში უცხო ენათა მასწავლებელი (ქართულის კარგი მცოდნე ვანდა ღამბაშიძისა), თავიდანვე დიდ ყურადღებას აქცევდნენ ბავშვის სწავლა-განათლებას და მისწრაფებებს.

ამიტომაც სუნანა ჯერ კიდევ თბილისში შეიყვანეს სამხატვრო სასწავლებელში (ფოგელთან და შარლემანთან). პარიზში კი პირველად დეკორაციულ ხელოვნებათა სასწავლებელში მიაბარეს, შემდეგ ვაიონისა და კასტელუჩოს კერძო აკადემიებშიაც დადიოდა.

სუნანას თქმით, იგი პეიზაჟებისა და პორტრეტების ხატვას ეტანება და გამოფენებზედაც ძირითადად ამ სახის ნამუშევრებით მონაწილეობს.

სუნანა ღამბაშიძეს 1947 წელს მაროკოში მიუღია მონაწილეობა ჯგუფურ გამოფენაზე, ხოლო 1957 წელს თავისი ნამუშევრები პარიზში, „ზედამუკიდებელთა“ გამოფენაზედაც გაუტანია.

ეს არის და ეს, რაც ამ მხატვრის შესახებ გავიგეთ, იმის გარდა რომ პერსონალური გამოფენისათვის ემზადებოდა და უკვე მზადა ჰქონდა შოტლანდიაში შესრულებული ოცი ნამუშევარი.

აღარ მახსენდება, რითი დამთავრდა ჩვენი საუბარი. დავიღალენით და ვიგრძენით, რომ ვერა ფალავას ბინაზე ერთად გატარებული დრო ერთმანეთის გაცნობაში თვალდახელშუა გაგვეპარა. მაგრამ, თუ შეხვედრისას ჩვენს სიხარულს ერთმანეთის აწონ-დაწონა ანელებდა, გამომშვიდობება უფრო გულმართალი და ნაღვლიანიც აღმოჩნდა: ჩვენი საერთო მიწა შორს იყო პარიზიდან. სტუმრად ჩასულები მისგან მხოლოდ დღეებით და საათებითაც ვიყავით დაცილებულნი, პარიზელი „მასპინძლები“ კი ფიქრითღა ცდილობდნენ სამშობლოსათვის თვალის გადაწვდენას და მასთან მოკითხვას, საკუთარ ნამუშევრებს და ფარულ ცრემლებსაც გვატანდნენ.

ა რ იფიქროთ, ამით ვამთავრებდე ნაამბობს. ვიქტორ ნოზაძე თავდადებული და სერიოზული მკვლევარია და ზერელედ არ შეხედა ჩემს მიერ დასახულ ამოცანას: პარიზშიაც გავცნობოდი „ქართულ ხელოვნებას“.

ამიტომაც არც დრო დაიშურა, არც ენერგია და სახეზე ძალდაუტანებელი ღიმილით, აღმა-დაღმა დაგვატარებდა პარიზის ქუჩებით მხატვრებისა თუ მათ ნამუშევართა სანახავად და აკი კიდევ ამისრულა წადილი: ფელიქს ვარლამიშვილს შემასვედრა.

ამ მხატვრის ნამუშევარი პირველად პარიზში ვიხილე, შალვა ქიქოძის სურათების გვერდით.

სკვამად მუქი ფერწერული ტილო მეცნაურა ქართველი მხატვრისათვის დამახასიათებელი თუ მონათესავე მანერით, დეკორაციულ-პირობითი კომპოზიციით და თემითაც, რომელიც ძველი თბილისის ყოფაცხოვრებით სცენას წარმოადგენდა „დუქანთან“ ზურნა-დუდუკზე მოქეიფეთა და „დუქნის“ ვიტრინაზე თბილისურადვე ამრად მიხატული ცხვრის თავის გამოსახულებით.

დამაინტერესა ავტორის ვინაობამ და სურათზე უშალ მოვიბეჭდე ხელმოწერა — „ფ. ვარლამიშვილი“.

ცხადია, ბევრი რამ მსმენია უფროსი თაობის მხატვრებისაგან და ბიბლიოგრაფიულ მასალებშიაც არა ერთხელ ამომიკითხავს მისი სახელი. მაგრამ ყველა ეს ცნობა მხატვრის ჰაბუკობის ხანას ეკუთვნოდა და მისი შემოქმედებითი დავაჟკაცების შესახებ კი აღარა გამიგია რა.

და აი, ფელიქს ვარლამიშვილი ჩემს წინ არის. შესაძლებლობა მაქვს პირისპირ მჯდომმა მოვისინჯო და უბის წიგნაკს გავანდო მისი ცხოვრების რამდენიმე ფურცელი.

დაბადებულობას თანდაყოლილი თავაზიანობით ჰფარავს და უჭირს საუბრის დაწყება. შემდეგ თითო-ოროლა სიტყვას გვაწვდის და გვეთანხმება კიდეც, რომ სამშობლოდან შორს ყოფნა მნიშვნელობას უკარგავს და ძალასაც აცლის მხატვრის შემოქმედებას.

ვგრძნობ, რომ ახარებს და უკვირს მისი გახსენება. ნამუშევართა შეჭება კი სახეს

(გაგრძელება მე-7 გვ.).

საბჭოს ხელოვნება

№ 9, მაისი, 1966 წ.

ქართული მეცნიერების ნაბიჯები

(დასასრული).

გამომთვლელი მანქანების დახმარებითაც. ეს შესაძლებლობას გვაძლევს იმედი ვიქონიოთ, რომ კვლევის ევრისტიკული გზა, მიუხედავად პესიმისტური პროგნოზებისა, გზას გაიკაფავს და შესაძლებლობას მოგვცემს ფსიქიკური დონიდან ფიზიოლოგიურ დონეზე გადავიდეთ. თავის ტვინის მუშაობის ყველა ალგორითმი შეიძლება გამოვიყენოთ და კიდევაც უნდა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ უკვე დღეს შევქმნათ უმარტივესი კიბერნეტიკული სისტემები, ხვალ კი თვითორგანიზებისა და თვითსწავლების უნარის მქონე სისტემები.

მთლიანად ინსტიტუტი მუშაობს ქსელებისა და ავტომატების მათემატიკური თეორიის, მათემატიკური კიბერნეტიკის ძირითად პრობლემებზე, ოპერაციების, ევრისტიკის, ბიონიკის, მოდელირების თეორიის, კიბერნეტიკულ სისტემათა თეორიის კვლევაზე. ლოგიკური სტრუქტურები, ბიოკიბერნეტიკა, ნეიროკიბერნეტიკა, მანქანური ენა, თამაშთა თეორია გვაინტერესებს წმინდა გამოყენებითს ამოცანებთან ერთად.

რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი? ამას დრო გვიჩვენებს. კიბერნეტიკისათვის, მე ვგრძნობ, გაფურჩქვნის ხანა დგება. ეს გვახარებს, მაგრამ ამავე დროს გვაფრთხილებს: არ უნდა დავკარგოთ თავისი საგნისა და მეთოდის გრძნობა, რომ „სხვისი“ თავისად არ გამოვაცხადოთ, არ უგულებელვყოთ ის ცოდნა, რომელიც უკვე შეძენილია და პრაქტიკაში გამოყენების ელის.

მე ვფიქრობ, რომ უახლოეს წლებში კიბერნეტიკა ფართოდ განვითარდება და „განსაკუთრებით ბევრ რამეს“ გააკეთებს მედიცინისათვის, ბიოლოგიისთვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობისათვის.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გიორგი ციციშვილი, პ. გ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის დირექტორი: ინსტიტუტის მეცნიერთა ღონისძიებანი მიმართულია ქიმიური პროცესების კანონზომიერებათა წარმოჭრილად ნივთიერებების თვისებებისა და აღნაგობის კვლევაზე, მცენარეული და მინერალური ნედლეულის რაციონალური გადამუშავების ტექნოლოგიური მეთოდების შემუშავებაზე.

საინტერესო სამუშაო ბევრია. გამოვყოფ ზოგიერთ მათგანს: ელექტროლიზური მარგანეცის, ჰიპოფოსფორმჟავას წყლებიდან იოდის, კალიუმის პერმანგანატის, ახალი ლუმინესცენციური დეფექტოლის, ფარმაკოქიმიური პრეპარატის, ანტიქლოროზული პრეპარატების, პლასტმასების, ცეოლითების, მარგანეცისა და ნიკელის კატალიზატორების, მეტალურგიული კოქსის, არომატიზატორების მიღება...

ვფიქრობთ ახლო მომავალში მივიღოთ სხვადასხვა მასალები ახალი ტექნიკისათვის — წმინდა ქიმიური ნივთიერებანი, ფერიტები, ლუმინოფორები, წმინდა ლითონები, წვრილფოროვანი ადსორბენტები და კატალიზატორები, ახალი მაღალმოლეკულური და ბიოლოგიურად აქტიური ნაერთები.

არჩილ ელიაშვილი — ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტის დირექტორი: უნივერსალურ გამომთვლელ მანქანებზე სახეთა, კერძოდ მეტყველების სახეთა გამოცნობის დარგში ინსტიტუტს ზოგიერთი წარმატება აქვს. თეორიულ და პრაქტიკულ ინტერესს წარმოადგენს აგრეთვე მუშაობა ლინგვისტური საფუძვლების შესაქმნელად რუსული და სხვა ენებიდან ქართულზე მანქანური თარგმნისათვის.

მე ვმუშაობ მანქანური თარგმნის პრობლემაზე.

ინსტიტუტის მეცნიერები ეწევიან ავტომატური მართვის სისტემათა თეორიულ კვლევას. კერძოდ, გვაინტერესებს სტატისტიკური მეთოდები სწარმოთა პროცესების დინამიკის შესწავლისა სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების, მაგალითად, მეტალურგიის ავტომატიზაციისა. ელექტრონული გამომთველ-ამომხსნელი ტექნიკის ბაზაზე.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ უახლოეს წლებში ძირითად წარმატებებს უნდა ველოდეთ ელექტრონულ მოწყობილობათა მიკრომინიატიურიზაციისა და ელექტრონიკის ინტეგრალური სქემების შექმნის დარგში.

ალექსანდრე ფრანგიშვილი — დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი: ფსიქოლოგიაში პიროვნების მოქმედების შესწავლისას არ შეიძლება არ გამოვდიოდეთ ინდივიდის ქცევის მიზანმიმართულობის სავსებით უცილობელი ფაქტიდან. მაგრამ ტრადიციულ ფსიქოლოგიაში ქცევის მიზანმიმართულობა გამოდიოდა როგორც დამოუკიდებელი ცვლადი, როგორც დეტერმინანტა.

ქართველმა ფსიქოლოგებმა ცხადყვეს, რომ ინდივიდი, ვინაიდან იგი მიზანმიმართული მოქმედების სუბიექტია და ორგანიზდება მოქმედებათა თვით მოთხრობში, წინასწარ განზადებულია. „განწყობა“ სწორედ რეგირებისათვის მზადყოფნაა.

ფრიად ღირსშესანიშნავია, რომ ქართველი ფსიქოლოგებისათვის ძირითადი პრობლემისადმი — განწყობის პრობლემისადმი — ფსიქოლოგთა XXIII საერთაშორისო კონგრესზე, რომელიც მოსკოვში გაიმართება მიმდინარე წლის აგვისტოში, მიძღვნილი ცალკე სიმპოზიუმი. როგორც ამ სიმპოზიუმის ორგანიზატორი დიდი კმაყოფილებით აღვნიშნავ, რომ რამდენიმე მოხსენება ამ სიმპოზიუმზე ქართველ ფსიქოლოგებს ეკუთვნის. მის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ თვალსაჩინო მეცნიერები — ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ბულგარეთის ფსიქოლოგები...

გარდა განწყობის და ფსიქიკური პროცესების მოდელირების პრობლემებისა, ჩვენ შევისწავლით სწავლების პროცესში ბავშვთა ფსიქიკური მოქმედების კანონზომიერებებს, ბავშვთა და მოზარდთა ასაკობრივ ფსიქოლოგიას, სომატურ და ფსიქიკურ დაავადებათა დროს ფსიქიკური პროცესების დარღვევებს.

ინსტიტუტი ამჟამად ეწევა კვლევას საინჟინრო ფსიქოლოგიის დარგში, „ადამიან-მანქანის“ სისტემის შესასწავლად. ჩვენ გვინდა შევიცნოთ ოპერატორი ადამიანის მდგომარეობა, რათა გამოვავლინოთ ამ დარგში „განწყობის“ კანონზომიერებანი.



თბილისში, ამ შენობაში მოთავსებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი.

თბილისი — იენი

საქართველოს და გერმანიის უნივერსიტეტების თანამშრომლობა

თბილისში ათ დღეს იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის იენის უნივერსიტეტის მეცნიერთა დელეგაცია. მის შემადგენლობაში იყვნენ უნივერსიტეტის პრორექტორი პროფესორი ჰელმუტ კორხი, უნივერსიტეტის გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების განყოფილების თავმჯდომარე პროფესორი გეორგ შნაიდერი, უნივერსიტეტთან არსებული სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორი ტეო ბეკერი.

გერმანელი მეცნიერები ჩვენში ჩამოვიდნენ იმისათვის, რომ გაერკვიათ შესაძლებლობანი თბილისის უნივერსიტეტთან კულტურული და მეცნიერული თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების დადებისა.

სტუმრები გაეცნენ თბილისის უნივერსიტეტის საქმიანობას, იყვნენ ფაკულტეტებზე, დაათვალიერეს კაბინეტები და ლაბორატორიები. პროფესორმა ჰ. კორხმა და გ. შნაიდერმა ლექციები წაიკითხეს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოციალისტური მშენებლობის, იენის უნივერსიტეტის ისტორიის შესახებ.

მომავალი ხელშეკრულება ითვალისწინებს მასწავლებლების, ასპირანტების, სტუდენტების გაცვლას, მეცნიერული კვლევის, სპორტული მიღწევების, თვითმოქმედი მხატვრული შემოქმედების ურთიერთ გაცნობას.

თბილისის უნივერსიტეტში გაიმართა საუბრები, რომელთა დროს გერმანელმა მეცნიერებმა აღნიშნეს: ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ მეცნიერულ გაცვლას ისეთ დარგებში, როგორიცაა მათემატიკა, ფიზიკა, კიბერნეტიკა, სადაც ქართული მეცნიერების მოღვაწეებს თავიანთი სკოლები აქვთ და მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს.

— საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შეხედულებათა ერთობას, მჭიდრო თანამშრომლობას ეკონომიკის განვითარებაში, — თქვა დელეგაციის ხელმძღვანელმა პროფესორმა ჰ. კორხმა, — განამტკიცებს სულ უფრო მზარდი კულტურული და მეცნიერული თანამშრომლობა. უაღრესად მოხარული ვართ თბილისის უნივერსიტეტთან მეგობრული კავშირის დამყარებით, რადგან მისი მეცნიერები ეწევიან მეცნიერულ კვლევას, რომელიც კარგად არის ცნობილი საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ.

კიდევ ერთი

„საპაერო ტრამვაი“

ამუშავდა ახალი სამგზავრო საბაგირო გზა, რომელიც აკავშირებს თბილისის ვაკის პარკსა და კუს ტბას. თბილისში ეს უკვე მესამე საჰაერო-საბაგირო ტრასაა. მას არა აქვს შუალედი საყრდენები, სიგრძეა — 1.200 მეტრი. ვაგონების მოძრაობის სიჩქარეა რვა მეტრი წამში. ეს უკვეთზე ჩქარული „სამგზავრო ტრამვაია“ ჩვენს ქვეყანაში. ერთ საათში მას შეუძლია 300-მდე კაცის გადაყვანა. ერთი მიმართულებით ვაგონი მანძილს გაივლის 2,5 წუთში.

სამგზავრო საბაგირო გზაზე პირველად არის გამოყენებული ავტომატური მართვა, რომელიც აღრიცხავს მოძრაობის სიჩქარეს, კაბინების მდგომარეობას და მუშაობის სხვა რეჟიმებს.

ახალი საჰაერო ტრასის ორივე სადგური მინითა და რკინაბეტონით არის ნაგები და ეკლარის ქვით მოპირკეთებული.

მალე საოცრად შეიცვლება კუს ტბის მიდამოები. მის ნაპირებზე გაშენდება ხეები და ბუჩქნარი. წყლის დონე 10 მეტრით აიწევს. აქ დაპროექტებულია სასპორტო ნაგებობათა კომპლექსი დამსვენებელთათვის. ზემო პლატოზე აშენდება 350-ადგილიანი რესტორანი.

300 შეკვეთა

ჩვენი არქიტექტორების პროექტებით აშენდება

„...დაბეჯითებით გთხოვთ სასწრაფოდ გამოგვგზავნოთ კიევის გამოფენაზე ექსპონირებული 50 სავაჭრო ადგილიანი უნივერმაღის 15 ცალი ტიპობრივი პროექტი. ჩვენი ობიექტები საიუბილეოა და საბჭოთა ხელისუფლებას 50 წლისთავისათვის უნდა ამშენდეს. უკრაინის ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა სახელმწიფო-სააპროექტო ინსტიტუტის ოდესის ფილიალის მმართველი გალკევიჩი“. ასეთი დეპეშა მიიღო ამ დღეებში საქართველოს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტმა. ეს ერთადერთი დეპეშა როდია. ჩვენი ქვეყნის სამასმა სავაჭრო ორგანიზაციამ სთხოვა ინსტიტუტს უნივერმაღის პროექტი.

კიევში, „ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტის საუკეთესო პროექტის“ გამოფენაზე ქალაქის ტიპის უნივერმაღის ტიპობრივმა პროექტმა უმაღლესი შეფასება მიიღო. პროექტის ავტორებმა — ახალგაზრდა არქიტექტორებმა გ. ფოცხიშვილმა და დ. მალაღურაძემ ორიგინალურად გადაწყვიტეს ამოცანა. მოსახერხებელ დახლებზე გამოფენილია საქონელი, რაც მყიდველს საშუალებას აძლევს სწრაფად და ადვილად აარჩიოს საჭირო ნივთი. სავაჭრო დარბაზები დიდი და ნათელია. სავაჭრო კომპლექსი მოსახერხებელია ექსპლოატაციის დროს და ამასთანავე ეკონომიური: უნივერმაღი რკინაბეტონით და მინით იქნება ნაშენი. ბოლო, მეოთხე სართულზე მოთავსებულია რესტორანი და კაფე. ასეთი უნივერმაღი უკვე აშენებულ მათუმის ერთ-ერთ ქუჩას, ერთი კი შენდება ქობულეთში.

საქართველოს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტმა კიევის გამოფენაზე წარადგინა 30-ზე მეტი პროექტი, ბევრმა პროექტმა მაღალი შეფასება მიიღო. ისინი შეიძინეს ჩვენი ქვეყნის სავაჭრო ორგანიზაციებმა.

მოსკოვის ერთ-ერთ გარეუბანში აშენდება პანორამატი, რომელსაც ექნება რესტორანი, დასასვენებელი ოთახები და სასპორტო მოედნები. ამ პროექტის ავტორია ახალგაზრდა არქიტექტორი ო. მიქელაძე. სტუდენტთა სასადილოს ორიგინალური პროექტი აირჩია მოსკოვის საფეიქრო ინსტიტუტმა.

სარწყავი არხები—პაერში

სანნავებსა და მდელოებზე, ბაღებსა და ვენახებში აღმართულა რკინა-ბეტონის საყრდენები. მათზე დადგმულია ღარები, რომლებსაც სიცოცხლე მიაქვთ გვალვიანი მიწებისათვის. ღიაროვანი არხები საქართველოში სულ უფრო მეტი შენდება. ამ დღეებში სოღანლუღის მიდამოებში სექპალატაციოდ გადაცემულია ღიაროვანი არხების ქსელი, რომლებიც 242 ჰექტარ მიწას მორწყავენ.

ღიაროვანი არხების მშენებლობა საბჭოთა კავშირში 1952 წელს დაიწყო, როცა იგი პირველად გამოიყენეს სამგორის სარწყავი სისტემის განშტოებლებში. ღიაროვანი სარწყავი ქსელის მშენებლობა გაჩაღდა მას შედეგ, რაც საბჭოთა დელეგაციის წევრები ეწვივნენ ალჟირსა და ტუნისს, სადაც გაიმართა მეორე საერთაშორისო კონგრესი ირიგაციისა და დრენაჟის საკითხებზე.

უკრაინის, საქართველოსა და შუა აზიის წყალთა მეურნეობის სახელმწიფო-საპროექტო ინსტიტუტების ერთობლივი კვლევის შედეგად დადგინდა, რომ რწყვისათვის უფრო ეფექტიანი სისტემაა ღიაროვანი არხები, ხოლო არხების ყველაზე ხელსაყრელი პროფილი — პარაბოლური, რომელსაც შეუძლია 5 კუბური მეტრი წყლის გატარება წამში.

ღიაროვანი სისტემა 30 პროცენტით იაფია მიწის არხებზე. ღიაროვანი არხები გამორიცხავენ წყლის დანაკარგს ფილტრაციის დროს. წყლის რესურსების ნაკლებობის დროს ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. მათი უპირატესობაა ისიც, რომ თითქმის არ იკავებენ სათეს ფართობს. გარდა ამისა ღიაროვანი სისტემა რწყვის მექანიზაციის საშუალებას იძლევა, რაც მიწათმოქმედებაში ერთ-ერთი შრომატევადი ოპერაციაა. ღიაროვანი არხების მშენებლობა მთლიანად მექანიზებულია.

ამ უპირატესობებმა ღიაროვან არხებს სახელი გაუთქვეს სოფლის მეურნეობის მუშაკთა შორის. ამჟამად საქართველოში დაახლოებით 250 კილომეტრზეა გაჭიმული ასეთი არხები. ახლახანდელ ხუთწლედში სარწყავი მიწების ყოველი მეხუთე ჰექტარი მოირწყვება ღიაროვანი სისტემით.

რესპუბლიკის წყალთა მეურნეობის მუშაკებს ხუთწლედში ბევრი საქმე აქვთ გასაკეთებელი. დამატებით მოირწყვება 60 ათასი ჰექტარი მიწა. ქვემო სამგორის, კავთისხევის, თელეთის სარწყავი სისტემები, ზემო ალაზნის პირველი რიგი და საგურამოს სისტემის მეორე რიგი მაცოცხლებელ ტენს მიაწვდიან მინდვრებს.

◆

გამოცდა ჩაგარებულია

სსრ კავშირის სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათსამენებელი სამინისტროს თბილისის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სახელმწიფო სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროში შექმნეს თვითმავალ შასიზე კიდეული თამბაქოს შესატენი მანქანა.

მანქანის შექმნის დროს კონსტრუქტორებმა გაითვალისწინეს მცენარის ბიოლოგიური თავისებურებანი. მანქანას აქვს სეგმენტისნაირი ფორმის ორი დანა. დანები მჭიდროდ ედება მცენარის ღეროს საჭირო სიმაღლეზე. წამიც და დანა ქვემოდან ზემოთ აჭრის ფოთლებს. ტრანსპორტიორი იქვე გზავნის მათ ბუნკერში.

თამბაქოს შესატენმა მანქანამ კარგად ჩაიარა გამოცდები მარნეულის მერძეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის პლანტაციებში. ერთ ჰექტარ თამბაქოს პლანტაციაში მოსავლის ასაღებად მას დასჭირდა ორი საათი.



(დაგრძელება)

უნათებს და შუქსა ჰფენს მის თვალებს, თბილსა და სევდიანს.

ავტობიოგრაფიის ხსენებაზე ერთხანად იმმუშნდა, და შემდეგ კი ლამაზი ქართულით, ნება-ნება და ძუნწად ჰყვება თავგადასავალს: პარიზში 1928 წელს ჩამოვიდა. მანამდე თბილისში ცხოვრობდა, სადაც, მისი თქმით, ახალგაზრდობის საუკეთესო წლები დატოვა.

ქუთაისში დაბადებულს (1903 წ.), იქვე დაუმთავრებია რეალური სასწავლებელი და საქართველოს დედაქალაქში მხოლოდ უნივერსიტეტის შესვლის წელს (1920 წ.) ჩასულა.

საქართველოში სამხატვრო აკადემიის გახსნას ძირფესვიანად შეუცვლია ფელიქს ვარლამიშვილის ცხოვრება. შეგნებულად მიუტოვებია უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტი და შემოქმედის რთული და სიძნელეებით სავსე გზას დასდგომია.

1923 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია, სადაც გრაფიკაში — ო. შარლემანი და ფერწერაში — გ. ლანსერე ხელმძღვანელობდენ.

იგი მათივე მემკვიდრეთ ეზიარა ხელოვნების რეალისტურ საფუძვლებს და დღესაც დიდად ეღირს ამ ამაგდარ მხატვარ-პედაგოგთა სახელის ხსენება.

ფ. ვარლამიშვილი თავიდანვე ბევრს მუშაობდა — ხატავდა და მოწაფეებსაც ამზადებდა აკადემიისათვის. დარწმუნებულიც არის: ადრეული ნამუშევრები და მისი ნამოწაფარნი დღესაც მოიძებნებიან საქართველოში.

უცხოეთში კი მართლაც რომ მეტად გაუჭირდა. განსაკუთრებით პირველ ხანებში. ამიტომ ვერც სწავლა განაგრძო და ყოველდღიურ ლუკმაპურის საშოვარზე მყოფმა ვერც საყვარელ საქმეს მიანდო გულისყური მთლიანად.

მაგრამ ჯიუტი იყო და 1933 წელს მაინც შეძლო საკმაოდ ვრცელი პერსონალური გამოფენის მოწყობა იმხანად პარიზში არსებულ ერთ-ერთ პატარა გალერიაში, რომელსაც ესპანურად „იმედი“ (სპერანცა) ერქვა.

ამის შემდეგ სხვა სალონებშიაც გამოფინა ნამუშევრები, ხოლო 1945 წლიდან „შემოდგომის სალონის“ წევრიც გახდა და სალონში უფაუროდ გამოფენის უფლება მოიპოვა, მით უფრო, რომ მალე ჟიურის შემადგენლობაშიც შევიდა.

კერძო გამოფენაც მოაწყო გალერია „რუენშელში“ 1947 წელს, მაგრამ მაინც იძულებული გახდა პარიზი დროებით მიეტოვებინა.

სამხრეთ ამერიკაში წავიდა 1948 წელს. ოთხ წლამდე დაჰყო ბუენოს-აირესში და პერსონალური გამოფენებიც გამართა, რომელთაც საზოგადოების და პრესის ყურადღება დაიმსახურეს. მაგრამ ისევ პარიზს დაუბრუნდა 1952 წლის დამლევს და „შემოდგომის სალონშიაც“ აღადგინა თავისი მოღვაწეობა.

დაფასება? ეღიმება მხატვარს. მის სურათებს დროდადრო სახელმწიფოც ყიდულობს. სამი სურათი — „ნატურმორტი“, „მშობიარობა“ და „სოფლის სცენა“ ჯერ კიდევ 1947 წელს შეისყიდეს, ხოლო 1954 წელს სამი გუაში-კომპოზიცია ქალაქმაც შეიძინა.

მაგრამ პარიზში მხატვრები მეტად ბევრნი არიან და მათში პრიორიტეტის მოპოვება არც ისე ადვილია, მაშინაც კი, როცა ოცდაოთხ საათს მუშაობ, როგორც ეს მას უხდება ხოლმე.

ფელიქს ვარლამიშვილი აშკარად მორცხვობს. თავისი შემოქმედების შეფასების საკითხს უკან სწევს და გვემოწმება მხოლოდ, რომ საფრანგეთის ერთ-ერთ პროვინციაში — ქ. სერეში, გახსნილ მუზეუმის ექსპოზიციაში, მართლაც არის მოთავსებული მისი ერთი ფერწერული ტილო. შემდეგ კი დამატებით ვიგებთ, რომ ამ მუზეუმში, ქ. სერეში სხვადასხვა დროს მოღვაწე მოწინავე ფრანგ მხატვართა (მათ შორის პიკასოს) ნამუშევრები შეუკრეფიათ. ქალაქის მმართველობას ვარლამიშვილისათვისაც მიუმართავს თხოვნით და მხატვარს მუზეუმისათვის თავისი ნამუშევარი „ღვინის მსმელი“ (თუ „ლოთი“) შეუწირავს.

ყველა ამას შემთხვევითობას ვერ მივაწერთ. ფელიქს ვარლამიშვილი უდავოდ მაღალი კულტურის მხატვართა რიცხვს მიეკუთვნება და ალბათ მას, მართლაც, საკმაოდ კარგად იცნობენ საფრანგეთში და მის გარეთაც. მიუხედავად ამისა ბურჟუაზიულ გარემოცვაში მყოფი მხატვარი, ჩანს, იძულებული ხდება დააკმაყოფილოს შემკვეთთა მოთხოვნილებები და ზოგჯერ აბსტრაქტულ მხატვრობასაც მიმართავს.

ამასვე მიეწერება ალბათ კონტრაქტები გალერიებთან, რომელნიც უზრუნველყოფენ მხატვრის ნამუშევართა გამოფენების მოწყობას სხვადასხვა ქვეყანასა და ქალაქებში.

მაგ., გალერია დრუანთან (გვარია) 1958 წელს დადებული კონტრაქტის მეშვეობით, ფელიქს ვარლამიშვილის გამოფენები მოეწყო პარიზში, აშშ-ში; ნასაუში, დალასში, ჰუსტონში, ლოს-ანჟელოში, დეტროიტში და იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში.

ეშუალოდ მხატვრის მიერ კერძო გამოფენის მოწყობა საფრანგეთში საკმაოდ ძნელია და ძვირიც ჯდება. მიუხედავად ამისა, ფელიქს ვარლამიშვილს რამდენიმე კერძო გამოფენაც მოუწყია. ერთი მათგანი, უკვე ზემოხსენებულ გალერიაში (პარიზში) 1947 წელს და ორიც სან-ფრანცისკოში. ამ გამოფენათა დოკუმენტურ მასალად მხატვარს სათანადო კატალოგები და პრესაში მოთავსებული ანოტაცია-წერილები შემორჩენია.

საფრანგეთის ჟურნალ-გაზეთებში წლიდან წლამდე უფრო და უფრო ხვდებით ფელიქს ვარლამიშვილის ანუ ვარლას სახელს (Varla — შემოკლებით აწერს ხელს მხატვარი და ჩანს, ამ სახელით უფრო იცნობს მას უცხოეთის საზოგადოება). მათ შორის „ნუველ ლიტერერ“, „ჟურნალ დელ/ამატორ დ'არტ“, „კომბა“, „არტ“, „ლე პენტრ“, „ლე გეინ მედიკალ“ და „ლე ინფორმაციონ არტისტიკ“, — ერთხმად აღნიშნავენ მხატვრის დიდ შემოქმედებით მონაცემებს, მის ოსტატობას, ფერწერულ ნიუანსთა სირთულეს, გარემოს აღქმის სიფაქიზეს და სხვ.

მათი სიტყვით: „მეტად გაბედული ნახატები უფლებას აძლევენ მხატვარს შექმნას დეკორაციული ნამუშევრები (ამ ტერმინის კეთილშობილი მნიშვნელობით)“. „ვარლა ვენეციის, გრენადისა და დანარჩენ დიდ ქალაქთა ინტერპრეტაციებში იმდენივე ნიჭსა და ჯადოქრობას ჩააქსოვს, რამდენსაც ბუნების, სოფლის პეიზაჟებისა და განსაკუთრებით კი ტყეების გადმოცემაში“. სურათებში ასახულ „შეშის მჭრელებსა და მთიბავთ თუმცა თითქმის მოცეკვავეთა პოზებს აკუთვნებს, თავის რიტმში ისინი მეტად რეალურნი არიან...“

კიდევ მრავალი ასეთი ამონაწერის გაკეთება შეიძლება ფელიქს ვარლამიშვილის შესახებ პრესაში გაფანტული წერილებიდან, მაგრამ მთავარ ყურადღებას ჩვენს მიერ წაკითხულიდან ძირითადად ის იქცევს, რომ მხატვარი ისევ და ისევ ჟანრული ხასიათის სიცოცხლით სავსე თემებს უბრუნდება და მისი სურათები ცხოველი და პოეტურია.

სამწუხაროდ, საშუალება არ იყო ძირფესვიანად გავცნობოდი მხატვრის შემოქმედებას. ეს იმდენადაც არის ძნელი, რამდენადაც მისი ნამუშევრები სხვადასხვა ქვეყანასა და კერძო კოლექციებშია გაბნეული და მათი თავმოყრა ალბათ თვით მხატვრისთვისაც შეუძლებელია.

მონოგრაფიას კი (რომელიც მხატვრის შემოქმედების გაცნობის ერთ-ერთი მთავარი წყაროა), როგორც ამას ფელიქს ვარლამიშვილიც განმარტავს, საფრანგეთში მცენატი, გალერია (რომელიც მხატვარს პატრონობს) ან თვით მხატვარი სცემს თავის ხარჯზე, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში თუ ის მდიდარია.

მაგრამ, ფელიქს ვარლამიშვილი, რომლის ასეულმა ნამუშევარმა მრავალი ქვეყანა მოიარა, მდიდარი არ არის და მასზე მონოგრაფია ჯერ არ დაწერილა (არა აქვს უფლება ჩვენს მხატვრებს შენატრიდეს?).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გასაგები უნდა იყოს, რომ ერთიორად გამახვილებული ინტერესით ვსინჯავდი მხატვრის თითოეულ ნამუშევარს, რეპროდუქციას, გამოფენის კატალოგსა და პროსპექტსაც.

ერთ მათგანს თქვენც გთავაზობთ. 1950 წლის შემოდგომაზე გალერია ვიაუში მოწყობილი გამოფენის კატალოგში აღნუსხული ოცი ექსპონატის უბრალო ჩამოთვლაც კი საკმარისია, რომ მხატვარი ნაწილობრივ მაინც გაგაცნოთ.

რა არ დავეხატებათ თვალწინ: „პლიაჟი“ და „რთველი“, „მეთევზეები“ და „ცხენოსნები“, „მობაძავნი“, „ვიოლინოს დამკვრელები“, „დღესასწაული“, „საზაფხულო დასვენება“ და პორტრეტები, ნატურმორტები, პეიზაჟები.

რვა სტრიქონიანი ტექსტი კი გაუწყებთ, რომ „ფრანგი მხატვარი ფელიქს ვარლა თავის სურათებს პირველად ჰფენს ბუენოს-აირესში. მიეკუთვნება თანამედროვე ფრანგულ სკოლას და წვერია პარიზის „შემოდგომის სალონისა“. ვარლას სურათები შეძენილი აქვს საფრანგეთის რესპუბლიკას და მის ნამუშევრებს შეხვდებით ევროპის მუზეუმებსა და სხვადასხვა კოლექციებში“.

ფელიქს ვარლამიშვილის ნამუშევართა რამდენიმე ფოტო და პარიზიდან ჩამოტანილი ერთი სურათი — „უბელო ცხენები“ (შესრულებული ტემპერით, გუაშით, ტუშით და სხვ.) შემიძლიან შემოგთავაზოთ განსახილველად.

თემა მათში განსხვავებულია. სტილი თვითეული მათგანთან საგანგებოდ შეფარდებული და რამდენადმე მახერულიც. მაგრამ, ნახატი ძლიერი, კომპოზიცია დეკორაციულად შერწყმული და დამჯერებელი, ფერები ერთ მთლიან კოლორიტს დაქვემდებარებული, ხოლო თვით მხატვარი კი თავის „ობიექტში“ შეყვარებულიც ჩანს.

„ობიექტი“ კი ხშირ შემთხვევაში უბრალო ადამიანია, სხვადასხვა ქვეყნის სოფლებისა თუ ქალაქთა მკვიდრი, მათი ცხოვრების ნამდვილი გამომხატველი.

ფელიქს ვარლამიშვილს არ უნდა ახასიათებდეს პეიზაჟების ხატვა უადამიანებოდ, მაგრამ იმ შემთხვევაშიაც, როდესაც პეიზაჟი მხატვრის მიერ პირველ პლანზე გამოწეული ჩანს, ადამიანის ხელსა და არსებობას შეიგრძნობს მაყურებელი.

ასეთია, მაგალითად, იმპრესიონისტული ვიბრაციით აღბეჭდილი „სასახლის ქუჩა“, პერსპექტივაში ჯარისკაცებივით ჩამწკრივებული ხეების რიგებით და მათ შორის ბარითა და თოხით შეიარაღებული მამაკაცის ოდნავ შესამჩნევი ფიგურით. სურათში ჩასვლილი განწყობა, ხეების ხელაწვდილი, კოხტად გადაბელილი თუ მიწაზე დაყრილი და დახვავებული ტოტები, თავისთავადაც გულისამბობენ ადამიანს, ბუნების მსახურსა და მის დამმორჩილებელს.

(დასასრული შემდეგ ნომერში).



სურათზე: მხატვარ შ. ქიქოძის ტილო „ქალ-ვაჟი“.

ქრ. 1/61

კონკურსის შედეგები

ქართველ ჰადრაკის კომპოზიტორთა წარმატება

ალმა-ატის ახალგაზრდულმა გაზეთმა „ლენინსკაია სმენა“ შეაჯამა საჰადრაკო კომპოზიციის დიდი საერთაშორისო კონკურსის შედეგები. კონკურსში მონაწილეობდა ევროპის 16 სახელმწიფო — ავსტრია, ინგლისი, გულგარეთი, უნგრეთი, საბერძნეთი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, პოლონეთი, შვეცია, იუგოსლავია, რუმინეთი და სხვა ქვეყნები. წარმოდგენილი იყო 214 ავტორის 676 კომპოზიცია.

ქართველმა კომპოზიტორებმა კონკურსში მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს: ეტიუდებში მეორე პრიზი მოიპოვა სპორტის ოსტატმა **გ. ნადარეიშვილმა**, ქება დაიმსახურა თბილისელ **ვ. კალანდაძის** ეტიუდმა.

წარმატება ხვდა წილად ქალაქ გორის წარმომადგენლებს. მრავალსმლიანი ამოცანის შედგენისათვის ქება დაიმსახურა გ. კუთარაშვილის ამოცანამ, ხოლო ი. კრეხელმა პირველი პრიზი მოიპოვა კოოპერაციულ ამოცანებში (ზღაპრული ჰადრაკის სახეობა).

სტრიქონები ალბომიდან

„ავტოგრაფით, ორიოდე სიტყვით, პატარა ლექსით ან აფორიზმით შეიძლება ადამიანის დახასიათება. ერთად თავმოყრილი ასეთი ჩანაწერები დიდი განძია ამა თუ იმ ისტორიული ხანის დახასიათების მასალად“.

ასეთი ეპიგრამა წარუმძღვარა თავის ალბომს 1926 წელს ამჟამად სათეატრო მუზეუმის დირექტორმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გ. ბუხნიაშვილმა, რომელიც მაშინ რუსთაველის თეატრის დირექტორი იყო. წლების მანძილზე ქართული თეატრის, ხელოვნებისა და ლიტერატურის მრავალი გამოჩენილი მოღვაწის ჩანაწერი გაჩნდა ალბომში. ისინი სხვარტი ლექსით, ან პროზით გამოხატავდნენ თავიანთ მოსაზრებებს ქართული თეატრის შესახებ, რომელიც კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის მძლავრი ნიჭით დიდ აღმავლობას განიცდიდა.

პირველი ჩანაწერი ამ უნიკალურ ალბომში პოეტმა სიმონ ჩიქოვანმა გააკეთა. შემდეგი ჩანაწერი ი. იმედაშვილს, ცნობილ საზოგადო მოღვაწეს ეკუთვნის. ის გამოთქვამს აზრს, რომ „ადამიანთა სულის ნავთსაყუდარი ხელოვნებაა თავისი მრავალსახეობით, ხოლო მისი თილისმა სარკე — თეატრი“.

ა. ხორავა დიდ სიხარულს გამოთქვამს ქართული თეატრის მოღონიერების გამო და ყველას მოუწოდებს ხელი შეუწყონ მას. აქვეა ჩვენი სახელოვანი მსახიობებისა და მწერლების უ. ჩხეიძის, შ. დამბაშიძის, პ. კობახიძის, გ. ლეონიძის, ს. შანშიაშვილისა და სხვათა გამოთქმული აზრი და ფიქრი.

საგულისხმოა კინოორეჟისორების ნ. შენგელაიასა და მ. ჭიაურელის მოსაზრებები ხელოვნების შესახებ. ჩაწერილია ნ. შენგელაიას ლაკონიური ფრაზა: „ადამიანი და ცხოვრება — ორი დიდი არსი, პრინციპი კინოფილმისათვის“. აი რას წერს მ. ჭიაურელი: „ხელოვნების პირველი საფეხური ნიჭია, ხოლო მწვერვალამდე მისაღწევად შრომა, შრომა და შრომა“.

„ვხედავ და ბედნიერი ვარ, რომ საქართველოს უჩნდება ახალგაზრდობა. საქმიანი, საზრიანი ყველა დარგში — მეცნიერებასა თუ ხელოვნებაში“. ჩაუწერია ალბომში შ. დადიანს. აქვეა ი. გრიშაშვილის რამდენიმე ჩანაწერი.

„ქართული კულტურის ერთი უდიდესი ღერძთაგანია ქართული თეატრი“, ასე ორიოდე სიტყვით თქვა სათქმელი ა. ფაღავამ, რომელმაც საქართველოში პირველმა დაარსა სტუდია სტანისლავსკის მოძღვრების სისტემაზე.

საინტერესოა მოსკოვის კამერული თეატრის დამაარსებლის, გამოჩენილი რეჟისორის ა. ტაიროვის აზრი ხელოვნების შესახებ. იგი ავითარებს აზრს, რომ თანამედროვეობის ხელოვნებამ, რომელსაც საფუძვლად უდევს მტკიცე ეროვნული საწყისი, თავის ისტორიულ წინსვლაში უნდა შეძლოს შექმნას ახალი საკაცობრიო, ინტერნაციონალური ხელოვნება. დღიდან ამ სიტყვების ჩაწერისა რამდენიმე წლის შემდეგ რუსთაველის სახელობის თეატრმა ბრწყინვალედ დაამტკიცა ეს მოსაზრება მოსკოვში საბჭოთა თეატრების პირველ საკავშირო ოლიმპიადაზე.

ალბომში არის აგრეთვე მთელი რიგი ორიგინალური ჩანაწერები. მაგალითად, გამოჩენილი ჩეხი მევიოლინე ი. კუბელიკი მელოდიის ნაწყვეტით ამშვენებს ალბომს. ასევე მოიქცნენ ქართველი კომპოზიტორები ვ. დოლიძე და ი. ტუსკია.



ჭ. თბილისი, რუსთაველის მოედნიდან მთაწმინდის პარკში შეგიძლიათ ახვიდეთ საბაგირო გზით, **სურათზე** — ქვედა სადგური.

ეს საინტერესოა

ასირიული დიალექტები საქართველოში

ოც წელზე მეტია საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულ ასირიულ დიალექტებს სწავლობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სემიტოლოგიის განყოფილების გამგე ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **კ. წერეთელი**. მეცნიერმა ჩაწერა ტექსტები ხუთ ასირიულ დიალექტზე: ურმიის, სილამასის, ვანის, ჯილუსა და ტაირის დიალექტებზე. ამ ტექსტების დიდი ნაწილი აღმოსავლეთის ფოლკლორისათვის დამახასიათებელი სიუჟეტის ზღაპრები და იგავ-არაკებია.

გამომცემლობა „მეცნიერებამ“ გამოუშვა კ. წერეთლის მიერ მომზადებული ხუთტომიანი ნაშრომის „არამეულ დიალექტოლოგიის მასალების“ პირველი ტომი. ეს ნაშრომი საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულ ასირიულ დიალექტებს ეძღვნება. წიგნში დაბეჭდილია ლათინური ტრანსკრიფციით ჩაწერილი ურმიული ტექსტები. იგავ-არაკებისა და ზღაპრების გარდა, შრომაში არის ტექსტები, რომლებიც ასახავენ ურმიელთა ზნე-ჩვეულებებსა და ყოფაცხოვრებას („ასირიელთა ქორწილი“, „დაკრძალვა“ და სხვ.). აქვე მოყვანილია ხალხური პოეზიის ნიმუშები.

პროფესორ კ. წერეთელს ეკუთვნის 50-მდე სამეცნიერო შრომა არამეულ დიალექტოლოგიაში, სემიტური ენების შედარებითი გრამატიკის საკითხებზე. მეცნიერთა დიდი ინტერესი გამოიწვია კ. წერეთლის „თანამედროვე ასირიული (არამეული) დიალექტიკის ფონეტიკის ნარკვევებმა“, თანამედროვე ასირიული ენის ქრესტომათიამ ლექსიკონითურთ, მონოგრაფიამ „თანამედროვე ასირიული ენა“.

— პირველი ტექსტები თანამედროვე არამეულ დიალექტებზე, — უთხრა მეცნიერმა გაზეთ „სამშობლოს ხმის“ კორესპონდენტს, — ჯერ კიდევ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ არის გამოცემული. მაგალითად, პირველი ტექსტი ურმიულ დიალექტზე ამერიკელმა ჯ. პარკინსმა ჩაიწერა 1836 წელს ურმიაში.

საბჭოთა კავშირში, და კერძოდ, საქართველოში საკმაოდ ბევრი ასირიელი ცხოვრობს. მათი კლო ნაკლებ საინტერესო როდია სემიტოლოგიისათვის.

კიდევ 200 მილიონი

ყველასათვის ცნობილია, თუ რა პოპულარობით სარგებლობს მინერალური წყალი „ბორჯომი“ არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც. მოთხოვნილება წყალზე ყოველდღიურად მატულობს. ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ბორჯომის მახლობლად, დაბა ყვიბისში დაიწყო ახალი ჩამოსასხმელი ქარხნის მშენებლობა. საწარმოს პირველი რიგი, რომლის მწარმოებლობა წელიწადში 130 მილიონი ბოთლი მინერალური წყალი იქნება, 1968 წელს ამუშავდება. ქარხანა ალიჭურვება უახლესი მოწყობილობით. იგი წელიწადში გამოუშვებს 200 მილიონ ბოთლ ბორჯომის წყალს.



მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი, მოკლე ტალღაზე — 30.83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

სარედაქციო კოლეგია



თბილისი, გ. ათონელის ქ. № 25.